ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4354904

ნომერი: AR1657256

თარიღი : 24.01.2019

გაცემის თარიღი : 29.01.2019

გაცნობის თარიღი : 29.01.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 151;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბესიკ ბარსონიძე პ/ნ 01026001524
- ქ.თბილისი ფანასკერტელის ქ.13ბ

ორგანიზაცია:
- სს თიბისი ბანკი კოდი: 204854595

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _

-წარმოდგენილ იქნას თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა და მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ადგილი, თუ სად ხდება ბანკომატის განთავსება.

-როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია სს „თიბისი ბანკი“. აქედან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტთან მიმართებაში მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა აქედან გამომდინარე, წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტთან მიმართებაში სს „თიბისი ბანკის“ (იჯარა, ქირავნობა, აღნაგობა და ა.შ) ან რაიმე სხვა უფლების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული). გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თიბისი ბანკი წარმოადგენს ქვემოიჯარეს, საჭიროა წარმოდგენილ იქნას იჯარის ხელშეკრულება საჭიროების შემთხვევაში რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში ქვემეიჯარის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.